პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

# Собрание Узаконений и Распоряжений Рабоче-Крест. Правит. Грузии 1924 Г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| [redacted] ოქტომბერი | № 5 | ნაწ. პირველი | Октябрь [redacted] | № 5 | Отд. ПЕРВЫЙ |


## შ ი ნ ა ა რ ს ი:


21. დადგენილება № 111 ც. ა. კ. „ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალში 1923 წ. იანვრის 1-მდე აღძრულ საქმეთა მოსპობის შესახებ“.

22. დადგენილება № 112 ც. ა.კ. „საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრებისა და მენშევიკური მთავრობის ზოგიერთი წევრის ქონების კონფისკაციის შესახებ“.

23. დადგენილება № 33 ს. კ. ს. „სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის შესახებ“.

24. დადგენილება № 34 ს. კ. ს. „საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საელექტროფიკაციო სექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დებულებითურთ).

25. დადგენილება № 35 ს. კ. ს. „საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

26. დადგენილება № 36 ს. კ. ს. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (დებულებითურთ).

27. დადგენილება № 37 ს. კ. ს. „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“.


## СОДЕРЖАНИЕ:


21. Постановление № 111 ВЦИК'а. „О прекращении в Военном Трибунале Груздивизии дел. возникших до 1-го января 1923 г.“.

22. Постановление № 112 ВЦИК'а. „О конфискации имущества некоторых членов бывшего Учредительного Собрания и бывшего меньшевитского Правительства Грузии“.

23. Постановление № 33 СНК. „О замене специальных удостоверений членскими билетами профессиональных союзов“.

24. Постановление № 34 СНК. „Об утверждении положения о Секции по электрофикации при Государственной Плановой Комиссии ССР Грузии“ (с положением).

25. Постановление № 35 СНК. „Об утверждении положения об Управлении Государственной торговли медицинским имуществом Грузии“ (с положением).

26. Постановление № 36 СНК. „Об утверждении и введении в действие Положения об учреждениях Уголовного Розыска Соц. Сов. Республики Грузии“ (с положением).

27. Постановление № 37 СНК. „О прокуратуре по трудовым делам“.

10-07-07.

## 21. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 111

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა**

**ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალში 1923 წლის იანვრის 1-მდე აღძრულ საქმეთა მოსპობის შესახებ.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლ. სექტემბრის 19-ს დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

იმ მიზნით, რათა დაჩქარებით მოხდეს გამოძიება და ნორმალური მსვლელობა მიეცეს ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალში გასარჩევ უაღრესი მნიშვნელობის საქმეებს, აგრეთვე რათა განტვირთულ იქნეს საპატიმრო ადგილები და დასჯის პოლიტიკა უფრო მიზანშეწონილად წარიმართოს:

1. მოისპოს ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალში ყველა ის საქმე, რაც 1923 წლის იანვრის პირველამდე ჩადენილი დანაშაულის გამო აღიძრა და რომლის წინასწარი გამოძიება ჯერ დამთავრებული არ არის, ან რომელიც ამა დადგენილების ადგილობრივ მიღებამდე არ გარჩეულა სამსჯავრო სხდომაზე, გარდა იმ დანაშაულთა საქმეებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58—73 მუხ., 76 მუხ. 1 ნაწ., 86 მუხ., 109 მუხ. 2 ნაწ., 113, 114 მუხ., 115 მუხ. 2 ნაწ., 117 მუხ. 2 ნაწ., $117^1$ მუხ. 2 ნაწ., 122 მუხ., 131 მუხ. 2 ნაწ., 132 მუხ. 2 ნაწ., 134 მუხ. 2 ნაწ., 146, 147 მუხ., 153 მუხ. 2 ნაწ., 170—176 მუხ., 187 მუხ. „გ“ პუნქტი, $187^1$, 191 მუხ., 198 მუხ. შენიშვნასა, 203, $211^3$ მუხ., 213 მუხ. 3 ნაწ., 215 მუხ. 3 ნაწ., 219 და 220 მუხლებში.

> **შენიშვნა.** საქმის მოსპობა, რაც ამა მუხლშია აღნიშნული, თვითეულ ცალკე შემთხვევაში დასაბუთებული დადგენილებით, შეიძლება არ გავრცელდეს იმ კერძო მოქალაქეზე, რომელიც მშრომელთა კლასს არ ეკუთვნის, ან ამა დადგენილების შეფარდების ღირსი არ არის.

2. როგორც გამონაკლისი სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 454 და 458 მუხლში აღ-

## 21. Постановление № 111

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О прекращении в Военном Трибунале Груздивизии дел, возникших до 1-го января 1923 года.**

Согласно постановления Президиума ЦИК-а С. С. С. Р. от 19-го сентября 1924 года Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов постановляет:

В видах ускорения производства следствия и возможности обеспечения нормального движения в Военном Трибунале Груздивизии дел, имеющих более важное значение, ввиду перегруженности мест заключения и в видах более целесообразного направления карательной политики:

1. Прекратить производством в Военном Трибунале Груздивизии дела, преступления по коим совершены до 1-го января 1923 года и по которым еще не закончено предварительное следствие, или кои к моменту получения настоящего Постановления не были заслушаны в судебном заседании, за исключением дел о преступлениях, предусмотренных следующими статьями Уголовного Кодекса С. С. Р. Г.: ст. ст. 58—73, ч. 1 ст. 76, ст. 86, ч. 2 ст. 109, ст. 113, ст. 114, ч. 2 ст. 115, ч. 2 ст. 117, ч. 2 ст. $117^1$, ст. 122, ч. 2 ст. 131, ч. 2 ст. 132, ч. 2 ст. 134, ст. 146, ст. 147, ч. 2 ст. 153, ст. 170—176 включительно, п. „в“ ст. 187, ст. $187^1$, ст. 191, примечание к ст. 198, ст. 203, ст. $211^3$, ч. 3 ст. 213, ч. 3 ст. 215, ст. 219 и ст. 220.

> *Примечание.* Указанное в настоящем пункте прекращение производством дел по мотивированному в каждом отдельном случае постановлению может и не быть применено к тем из отдельных граждан, которые не принадлежат к классу трудящихся, или не заслуживают применения настоящего Постановления.

2. В изъятие из правил ст. ст. 454 и 458 Угол. Проц. Кодекса освобо-

ნიშნული წესისა, ვადამდე პირობითი განთავისუფლების შეფარდებით, განთავისუფლებულ იქნეს ის, ვისაც ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სასჯელი გადაეწყვიტა სამ წლამდე და ვინც უკვე მოიხადა ამ სასჯელის ერთი მესამედი.

**შენიშვნა.** ვადამდე განთავისუფლება, რაც ამა მუხლშია აღნიშნული, ცალკე შემთხვევაში დასაბუთებული დადგენილებით შეიძლება არ გავრცელდეს იმ კერძო მოქალაქეზე, რომელიც მშრომელთა კლასს არ ეკუთვნის, ან ამა დადგენილების შეფარდების ღირსი არ არის.

3. იმ პატიმართ, რომელნიც ქართული დივიზიის ტრიბუნალში წარმოებულ საქმეზე გამოძიებაში არიან მიცემულნი და რომელთაც დღიდან შეპყრობისა ექვს თვეზე მეტ ხანს დაჰყვეს პატიმრობაში, შეეცვალოთ აღმკვეთი ღონისძიება, იმის მიუხედავად, თუ ვისგან არიან შეპყრობილნი.

**შენიშვნა.** უკეთუ საჭირო იქნება პატიმრობის ვადის განგრძობა განსაკუთრებით რთული საქმის თაობაზე გამოძიებაში მყოფი პატიმრისათვის, განსაკუთრებულმა კომისიამ (იხ. 6 მუხ.) უნდა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება, წარუდგინოს იგი რესპუბლიკის პროკურორს და სთხოვოს ვადის გაგრძელება.

4. ამასთან ერთად დაევალოს პროკურორს და ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალს გადასინჯოს წინასწარ პატიმრობაში მყოფთ დანარჩენ დაპატიმრებულთა საქმეები იმის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა.

5. ამა დადგენილების მე-2 მუხლი არ გავრცელდება ქონებრივ გადასახდელზე.

6. ამა დადგენილების იმ ნაწილების განხორციელება, რაც მე-2 და 3 მუხლში არის გათვალისწინებული, დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო პროკურორისა და ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის თავჯდომარისა და პროკურორისაგან პირველ მათგანის თავმჯდომა-

дить от дальнейшаго содержания под стражей, применив условно-досрочное освобождение к осужденным Военным Трибуналом Груздивизии на срок до 3-лет, в случае отбытия ими одной трети наказания.

*Примечание.* Указанное в настящем пункте досрочное освобождение по мотивированному в каждом отдельном случае постановлению может и не быть применено к тем из отдельных граждан, которые не принадлежат к классу трудящихся, или не заслуживают применения настоящего Постановления.

3. Изменить меру пресечения в отношении тех подследственных заключенных по делам Военного Трибунала Груздивизии, которые находятся под стражей свыше 6-ти месяцев, со дня задержания, кем бы оно ни было произведено.

*Примечание.* В случае признания необходимым продления срока содержания подследственных заключеннных по особо сложным делам, особые комиссии (см. п. 6) выносят мотивированные постановления и представляют их с ходатайством о продлении срока Прокурору Республики.

4. Наряду с этим поручить прокурору и Военному Трибуналу Груздивизии пересмотреть дела также и в отношении остальных содержащихся в предварительном заключении для выяснения возможности изменения меры пресечения.

5. Действие статьи 2-ой настоящего Постановления на имущественные взыскания не распространяется.

6. Проведение в жизнь настоящего Постановления в части, предусмотренной ст. ст. 2 и 3, возложить на особые комиссии в составе Члена Грузцика, Председателя Военного Трибунала К. К. А., Военного Прокурора К. К. А., Председателя Военного Трибунала и Прокурора Груздивизии, под председательством первого из них, в части же касающейся ст. ст. 1 и 4 настоящего Постановления—на Военный Трибунал и Военную Прокуратуру.

რეობით. ხოლო ამა დადგენილების იმ ნაწილების განხორციელება, რაც 1 და 4 მუხლშია გათვალისწინებული დაევალოს სამხედრო ტრიბუნალს და სამხედრო პროკურატურას.

7. ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი უნდა დამთავრებულ იქნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების ადგილობრივ მიღებისა.

8. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის, იმ ორგანოთა გარდა, რომელთაც ამის უფლება მინიჭებული აქვთ საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის სექტემბრის 19-ს დადგენილებით, მიენდოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წლ. ოქტომბრის 15

ტფილისი—სასახლე.

## 22. დადგენილება № 112

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრებისა და მენშევიკური მთავრობის ზოგიერთი წევრის ქონების კონფისკაციის შესახებ.**

ამა წლის აგვისტოს დამლევს საქართველოში მომხდარ თავად-აზნაურულმენშევიკურ ავანტიურას, რასაც მიზნად ჰქონდა საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამხობა, სულს უდგამდნენ ყოფილი მენშევიკური მთავრობის წევრები, რომელნიც დღეს ემიგრაციაში იმყოფებიან და საბჭოთა ხელისუფლების მტრების კარნახით განაგრძობენ საზღვარგარეთ თავიანთ ბოროტ მოღვაწეობას საქართველოს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ.

ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ხელისუფლება საჭიროდ სცნობს ნოე ჟორდანიას ყოფილი მთავრობისა და ყოფი-

7. Указанные в настоящем Постановлении мероприятия должны быть закончены в месячный срок со дня получения настоящего Постановления.

8. Общее наблюдение за проведением в жизнь настоящего Постановления, помимо органов, коим предоставлено это право постановлением ЦИК'а С. С. С. Р. от 19 сентября 1924 года, предоставить Прокурору Республики С. С. Р. Г.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. октября 15.

Тифлис—Дворец.

## 22. Постановление № 112

**Всегрузинскаго Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О конфискации имущества некоторых членов бывшего Учредительного Собрания и бывшего меньшевитского Правительства Грузии.**

Имевшая место в конце августа сего года дворянско-меньшевитская авантюра, направленная к свержению власти Рабочих и Крестьян Грузии, вдохновлялась лицами, принадлежавшими к числу членов бывшего меньшевитского правительства, ныне находящихся в эмиграции и продолжающих за границей под диктовку враждебных Советской Власти сил свою преступную деятельность против рабочих и крестьян Грузии.

Поэтому Рабоче-Крестьянская Власть ССР Грузии признает необходимым лишить этих находящихся в эмиграции и причастных к авантюре членов бывшего правительства Ноя Жор-

ლი დამფუძნებელი კრების ემიგრაციაში გადახვეწილ და ხსენებული ავანტიურის მონაწილე წევრებს ჩამოერთვას მათი კუთვნილი ქონება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ტერიტორიაზეა, და მოხმარდეს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა ვერაგულმა ავანტიურამ.

ამ მოსაზრებით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 70 მუხლის გამონაკლისად და საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მარტის 26-ს თარიღითა და 21 №-ით გამოცემული დადგენილების დასადასტურებლად—მთელი ქონება ყოფილი მენშევიკური მთავრობის და ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრებისა, რომელნიც ამ ჟამად ემიგრაციაში არიან და ამას წინად მომხდარ გამოსვლასთან კავშირი ჰქონიათ,—ჩამორთმეულ იქნეს კონფისკაციის წესით.

2. ოჯახის გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ წევრებს, რომელთაც 1-ლ მუხლში აღნიშნული პირნი არჩენდნენ—დაეტოვებათ საჭირო საოჯახო ნივთები, წვრილი და შინამრეწველობის იარაღი, უკეთუ ეს უკანასკნელი არსებობის სახსარია და არ წარმოადგენს სხვისი შრომის ექსპლოატაციის საგანს, და აგრეთვე საკვები პროდუქტები.

3. ამა დადგენილების აღსრულება დაევალება იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს, რომელთაც ევალებათ გამოსცენ სათანადო ინსტრუქცია.

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ. კომიტ. მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ოქტომბრის 31.

ტფილისი—სასახლე.

дания и бывшего Учредительного Собрания, принадлежащего им имущества, находящегося на территории Совласти, обратив это имущество на возмещение убытков, причиненных предательской авантюрой государственному хозяйству рабочих и крестьян Грузии, а потому ЦИК Грузии постановляет:

1. В из'ятие статьи 70-ой Гражданского Кодекса ССР Грузии и в подтверждение постановления Ревкома Грузии от 26 марта 1921 года за № 21 все имущество бывших членов меньшевитского правительства и Учредительного Собрания, находящихся в эмиграции и причастных к недавнему выступлению, подвергнуть конфискации.

2. Нуждающимся и нетрудоспособным членам семьи, находившимся на иждивении указанных в пункте 1-ом лиц, оставить необходимые предметы домашнего обихода, орудия мелкого и кустарного производства, если таковые служат средством к существованию и не являются предметами эксплоатации труда, а также продукты питания.

3. Приведение в исполнение настоящего постановления поручается НК Юстиции и НКВД, коим издать соответствующую инструкцию.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. Октября 31.

Тифлис-Дворец.

## 23. დადგენილება № 33

**საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი**

**სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის შესახებ.**

რათა დაწესებულებანი და საწარმონი, აგრეთვე კავშირების დაბალი ორგანოები განტვირთულ იქნენ მუშა-მოსამსახურეთათვის იმ ოფიციალური მოწმობებისა და ცნობების მიცემისაგან, რაც წარსადგენია კომუნალურ, საგადასახადო, საბინაო და სხვა ორგანოებში შეღავათის მისაღებად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს კანონით მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული შეღავათი, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო პირი, მოვალეა დამადასტურებელ დოკუმენტად მიიღოს პროფესიონალური კავშირის საწევრო ბილეთი.

2. პროფესიონალური კავშირის საწევრო ბილეთი დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება, უკეთუ ამ ბილეთში აღნიშნულია ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ უკანასკნელი საწევრო გადასახადის შეტანის დღიდან სამ თვეზე მეტ დროს არ გაუვლია.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭ. თავმჯ. მოად. **ალ. გეგეჭკორი.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭოს საქმეთა მოადგ. **ალ. სალარიძე.**

1924 წ. ოქტომბრის 7.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-233 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 11.

## 23. Постановление № 33

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**О замене специальных удостоверений членскими билетами профессиональных союзов.**

В целях разгрузки учреждений и предприятий, а также низших союзных органов от частой выдачи рабочим и служащим официальных удостоверений и справок для пред'явления в коммунальные, налоговые, жилищные и др. органы на предмет получения льгот, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Во всех случаях получения рабочими и служащими тех или иных льгот, предоставляемых им законом, все государственные, общественные и частные учреждения и предприятия, а также частные лица обязаны принимать в качестве удостоверяющего документа членский билет профессионального союза.

2. Членский билет профсоюза является удостоверяющим документом в том случае, если в нем сделана отметка, из которой видно, что время протекшее со дня последнего членского взноса не превышает 3-х месяцев.

Зам. Пред. Сов. Народ. Ком. ССР Грузии *А. Геечкори.*

Управляющий Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. октября 7.

Тифлис—Дворец.

Распубликованно в газ. „Коммунист“ № 233 от 11 октября 1924 г.

## 24. დადგენილება № 34

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საელექტროფიკაციო სექციის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგეგმო კომისიის საელექტროფიკაციო სექციისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საელექტროფიკაციო სექციის შესახებ.**

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ელექტროფიკაციის მიზნით წყლის ენერგიის გამოყენების საერთო ტეხნიკური მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე ჰიდრო-ელექტრონის სადგურების პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვების განხილვისა და დამტკიცებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსდება საელექტროფიკაციო სექცია.

საელექტროფიკაციო სექციის თავმჯდომარეს დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო. სექციის შედგენილობაში შედიან: ორ-ორი სპეციალისტი ჰიდრო-ტეხნიკური, საელოქტრონო, საამშენებლო და სამთო-გეოლოგიური დარგებისა.

სექციის წევრების სიას სექციის თავმჯდომარე წარუდგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.

**შენიშვნა.** სექციას ჰყავს მდივანი, ხოლო სექციის მიწერ-მოწე-

## 24. Постановление № 34

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**Об утверждении Положения о Секции по электрофикации при Государственной Плановой Комиссии ССР Грузии.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Прилагаемое при сем Положение о секции по электрофикации при Государственной Плановой Комисси ССР Грузии утвердить и ввести в действие.

Зам. Пред. Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Гегечкори.*

Управделами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. октября 7.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о секции по электрофикации при Государственной Плановой Комиссии ССР Грузии.**

1. Для общего технического наблюдения и руководства делом использования в целях электрофикации водной энергии в пределах Социалистической Советской Республики Грузии, а также для рассмотрения и утверждения проектов и смет, относящихся к сооружению гидро-электрических станций, при Государственной Плановой Комиссии ССР Грузии учреждается секция по электрофикации.

Председатель секции по электрофикации назначается постановлением Совета Народных Комиссаров ССР Грузии.

В состав секции входят по два специалиста гидротехнической, электрической, строительной и горно-геологической области.

Список членов секции председателем оной представляется на утверждение Председателю Государственной Плановой Комиссии.

*Примечание.* При секции со-

რას და საქმეებს ასრულებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის საერთო კანცელარია.

2. საელექტროფიკაციო სექციას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს ტეხნიკურის თვალსაზრისით და დაამტკიცოს ყველა ის მოსაზრება, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რაც შეეხება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საზღვრებში ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მოწყობას და რასაც სექციას განსახილველად წარუდგენენ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო პირნი და საზოგადოებანი;

ბ) შეიმუშაოს მდინარეთა ჰიდრომეტრიული და ჰიდროლოგიური შესწავლის საერთო ნორმები და პროგრამა და არსებული წესისამებრ გადასცეს იგი სახელმძღვანელოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებში მომქმედ სათანადო დაწესებულებათ;

გ) შეიმუშაოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ელექტროფიკაციის საერთო წინასწარი გეგმა, საერთო სავალდებულო ტეხნიკური ნორმები და დებულებანი ელექტროფიკაციის მიზნით წყლის ენერგიის გამოყენების შესახებ.

3. საქართველოს სოც: საბჭ. რესპუბლიკაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგებისათვის მუშაობის დაწყება, უკეთუ სადგურის სიმძლავრე ტურბინის ღერძზე 100 ცხ. ძალას აღემატება, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სადგურის პროექტი განხილულ და დამტკიცებულ იქნება საელექტროფიკაციო სექციის მერ.

ამაზე მცირე სადგურის პროექტი, მუშაობის დაწყებამდე, გადაეცემა საელექტროფიკაციო სექციას ცნობად.

ისეთი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის პროექტი, რომლის მოქმედების რაიონი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება, ვიდრე იგი წარედგინებოდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ორგანოებს, წინასწარ აუცილებლად უნდა განიხილოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საელექტროფიკაციო სექციამ და მისი დასტურით ან დასკვნით გაეგზავნება ზემოაღნიშნულ ორგანოებს.

4. საელექტროფიკაციო სექციის შესანახად გაიხსნება კრედიტი სათანადო

стоит секретарь, переписка же и делопроизводство секции возлагается на общую канцелярию Государственной Плановой Комиссии.

2. На секцию по электрофикации возлагается:

а) Предварительное рассмотрение в техническом отношении и утверждение всех предположений, проектов и смет, кои касаются вопросов сооружения в пределах ССР Грузии гидро-электрических станций и кои будут представлены на рассмотрение секции государственными, общественными и частными учреждениями, а также частными лицами и обществами,

б) выработка общих норм и программы гидрометрического и гидрологического изучения рек с преподанием в установленном порядке таковых к руководству соответственных учреждений, действующих в пределах ССР Грузии,

в) разработка общего предварительного плана электрофикации ССР Грузии, общих обязательных технических норм и положений, относящихся к использованию в целях электрофикации.

3. В пределах ССР Грузии приступ к работам по сооружению гидро-электрических станций, если мощность таковых превышает 100 лош. сил на валу турбины, может быть допущен лишь по рассмотрении и утверждении проекта станции в секции по электрофикации.

Проекты станций меньшей мощности до приступа к работам пересылаются в секцию по электрофикации для сведения.

Проекты же гидро-электрических установок, район действия коих выходит за пределы ССР Грузии, ранее представления таковых в высшие органы ЗСФСР или СССР, подлежат обязательному предварительному рассмотрению секции по электрофикации при Госплане ССР Грузии и с одобрения или с заключением онной пересылаются в вышеуказанные органы.

4. На содержание секции по электрофикации открывается кредит согласно соответственной сметы, како-

ხარჯთაღრიცხვის თანახმად, რასაც სექციის თავმჯდომარე შეადგენს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯ. მოად. **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. სალარიძე.**

1924 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-232 №-ში 1924 წ. ოქტომბრის 10

вую составляет и представляет на утверждение Госплана ССР Грузии Председатель секции.

Зам. Пред. Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Гегечкори.*

Управ. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. октября 7.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист“ № 232 от 10 октября 1924 г.

## 25. დადგენილება № 35

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ.

2. წინა მუხლში აღნიშნული დებულების შემოღებისათანავე გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის აპრილის 4-ს თარიღითა და 11 №-ით გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის შესახებ“.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1924. წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

## 25. Постановление № 35

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об утверждении положения об Управлении Государственной торговли медицинским имуществом Грузии.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Утвердить и ввести в действие приложенное к сему положение об Управлении Государственной торговли медицинским имуществом Грузии („Грузгосмедторг“).

2. С введением в действие указанного в п. 1 положения, утвержденное постановлением Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 4 апреля 1924 года за № 11 „Положение о государственной торговле медицинским имуществом Грузии“ („Грузгосмедторг“) считать отмененным.

Зам. Пред. Сов. Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Гегечкори.*

Управ. Делами Сов. Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1924 г. октября 30.
Тифлис—Дворец.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სამკურნალო საგნების მისაწოდებლად საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყოს „სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“, რომელიც მოქმედებს ამა დებულების თანახმად, ალებ-მიცემობისა და კომერციული ანგარიშის საფუძველზე.

**შენიშვნა.** სამკურნალო საგნებად იგულისხმება ყოველგვარი სამკურნალო საშუალება, ხელსაწყო, ჰოსპიტალის მოწყობილება, სადიეტო პროდუქტი, მინერალური წყალი, პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საგნები და სხვ.

2. „საქართველოს სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“ თავისი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქონების ფარგალში, რაც მის თავისუფალ განკარგულებაშია, და შეიძენს იურიდიული პირის ყველა უფლებას დღიდან მისი რეგისტრაციისა.

სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს „საქართველოს სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ვალებისათვის.

3. მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის მხოლოდ „საქ. სამკ. სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ და მის ქვემდებარე ორგანოებს.

**შენიშვნა.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის აკრძალვა არ შეეხება იმ აფთიაქებს, რომლებიც „საქ. სამკ. საგნების სახელ ვაჭრობის სამმართველომ“ გადასცა ან მიაქირავა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, ან სხვა ორგანოს განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

4. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“ ჰფლობს, სარგებლობს და განაგებს საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას და აფთიაქებს, და აწარმოებს თავის ოპერაციებს

# ПОЛОЖЕНИЕ

## О государственной торговле медимуществом Грузии.

### I. „Грузгосмедторг“.

1. С целью снабжения медицинским имуществом лечебно-санитарных учреждений и населения ССР Грузии при Народном Комиссариате Здравоохранения Грузии учреждается государственная торговля медицинским имуществом „Грузгосмедторг“, действующий, согласно настоящего положения, на торговых началах и коммерческом расчете.

*Примечание.* В понятие медимущества входят все виды лечебных средств, инструментария, госпитального оборудования, диэпродуктов, минеральных вод, предметов парфюмерии, косметики и пр.

2. „Грузгосмедторг“ несет ответственность по своим обязательствам лишь в пределах состоящего в его свободным распоряжении имущества и приобретает все права юридического лица со дня его регистрации.

Государственная казна за долги „Грузгосмедторга“ не отвечает.

3. Право розничной торговли медикаментами на территории Грузии принадлежит исключительно „Грузгосмедторгу“ и его подведомственным органам.

*Примечание.* Запрещение заниматься торговлей в розницу медикаментами в пределах ССР Грузии не касается аптек, переданных или сданных „Грузгосмедторгом“ НКЗ или другим органам на особых договорных условиях.

4. „Грузгосмедторг“ владеет, пользуется и распоряжается переданными ему Наркомздравом Грузии имуществом и аптеками и производит свои операции на общем основании законов, действующих и могущих быть изданными в ССР Грузии.

5. Отношение „Грузгосмедторга“ к союзу Грузмедсантруд регулируется действующими и специально на этот предмет издаваемыми постановлениями.

იმ კანონების საერთო საფუძველზე, რაც უკვე მოქმედობს და რაც შეიძლება მომავალში გამოიცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

5. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ დამოკიდებულება საქართველოს სამკურნალო-სასანატორო დარგში მომუშავეთა კავშირთან მოწესრიგდება მომქმედი და ამ საგანზე შემდეგში სპეციალურად გამოცემული დადგენილებით.

## II. დაარსება და რეგისტრაცია.

6. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამართველოს“ სამყოფელი ადგილი არის ქ. ტფილისი, ხოლო განყოფილება შეიძლება გახსნილ იქნეს, როგორც საქართველოს და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვა და სხვა ქალაქში, ისე საზღვარგარეთაც; ამასთანავე „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ადგილობრივი ორგანო თითეულ შემთხვევაში გაიხსნება სამმართველოს განსაკუთრებული დადგენილებით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარის დამტკიცებით.

**შენიშვნა.** „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ და მისი განყოფილებანი აწარმოებენ თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს, თანახმად 1-ლი მუხ. და მისი შენიშვნისა, მარტოოდენ სამკურნალო საგნებით.

7. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გადასცემს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ მთელ ქონებას, რაც მის განკარგულებაშია და საწყობებში და აფთიაქებში ინახება; გადასაცემი ქონება აღწერილი და შეფასებულ უნდა იქნეს არსებული საბითუმო-საბაზრო, ჩერვონეცზე გამოანგარიშებულ ფასების მიხედვით.

**შენიშვნა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსათვის“ გადაცემული ქონების ის სასაქონლო-საბრუნავი ფონდი, რაც აღნიშნულია შვაბესა და ფერეინის საბითუმო პრეისკურანტებში, შეფასდება 1914 წ. პრეისკურანტების საბითუმო ფასებისამებრ ჩერვონეცზე გადატანით; იმ შემთხვევაში, უკეთუ შვაბესა და ფერეინის პრეისკურანტების ფასებში განსხვავება აღმოჩნდება,

## II. Учреждение и регистрация.

6. Местонахождение „Грузгосмедторга“ является г. Тифлис, а отделения его могут быть открываемы как в разных городах ССР Грузии и ССС Республик, так и заграницей, причем местные органы „Грузгосмедторга“ открываются каждый раз особым постановлением Управления с утверждением Наркомздрава.

*Примечание.* „Грузгосмедторг“ и его отделения ведут свои торговые операции, согласно ст. 1-ой и примечания к ней, исключительно медимуществом.

7. Наркомздрав Грузии передает „Грузгосмедторгу“ все имущество, находящееся в его распоряжении на складах и аптеках, по описи и оценке по существующим оптовым рыночным ценам, выраженным в червонцах.

*Примечание.* Из состава имущества, переданного Наркомздравом Грузии „Грузгосмедторгу“, товарный оборотный фонд, поименованный в оптовых прейскурантах Швабе и Феррейна, оценивается по оптовым ценам последних 1914 года в переводе на червонцы. В случае разницы в ценах между прейскурантом Швабе и Феррейна—принимается наиболее низкая цена.

8. Настоящее положение вместе с описью и оценкой имущества, составляющего начальный капитал „Грузгосмедторга“, пред'является в Совнарком Грузии на утверждение.

9. По утверждении Совнаркомом Грузии настоящего положения Наркомздрав назначает управляющего и его заместителя и передает Управлению по особому акту и описи имущество.

Управление проверяет опись и оценку и составляет вступительный баланс с составлением о сем протокола.

10. После приемки имущества в двухнедельный срок по заявлению Управления производится регистрация „Грузгосмедторга“.

11. Учреждение, производящее регистрацию, после совершения таковой производит за счет „Грузгосмед-

მიღებულ უნდა იქნეს უუმცირესი ფასი.

8. დებულება ესე იმ ქონების აღწერილობასა და შეფასებასთან ერთად, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელ კაპიტალს, წარედგინება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

9. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა დებულების დამტკიცების შემდეგ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი დანიშნავს მმართველს და მის მოადგილეს და გადასცემს სამმართველოს ქონებას განსაკუთრებული აქტით და აღწერილობით.

სამმართველო შეამოწმებს აღწერილობას და შეაფასებს და შეადგენს შესავალ ბალანს სათანადო ოქმითურთ.

10. ქონების მიღების შემდეგ, სამმართველოს განცხადებით, ორი კვირის განმავლობაში მოხდება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ რეგისტრაცია.

11. დაწესებულება, რომელიც რეგისტრაციას აწარმოებს, რეგისტრაციის მოხდენის შემდეგ, გამოაქვეყნებს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ხარჯით ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში ამ რეგისტრაციას. გაბცხადებაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ სახელწოდება და სამყოფელი ადგილი;

ბ) საწარმოს საგანი;

გ) შესავალი ბალანსი.

12. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ დებულებისა ან საწესდებო კაპიტალის ცვლილება იმავე წესით დამტკიცებულ, რეგისტრაციაში გატარებულ და საჯაროდ გამოცხადებულ უნდა იქნეს.

### III. ქონება და პასუხისმგებლობის წესი.

13. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელ კაპიტალად ჩაითვლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ აღწერით გადაცემული და ჩერვონცებად შეფასებული სამკურნალო საგნები.

**შენიშვნა.** „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ დაეკისრება აგრეთვე საფარმაციო

торга“ публикацию в официальном органе печати о состоящейся регистрации; в публикации обозначается:

а) название и местонахождение „Грузгосмедторга“,

б) предмет предприятия,

в) вступительный баланс.

12. Последующия изменения в положении о „Грузгосмедторге“ или его уставном капитале утверждаются, регистрируются и публикуются тем же порядком.

### III. Имущество и порядок ответственности.

13. Начальным капиталом „Грузгосмедторга“ является переданное ему Наркомздравом Грузии медимущество по описи и оценке в червонцах.

*Примечание.* „Грузгосмедторг“ принимает на себя также все обязательства фармотдела по день его ликвидации.

14. Начальный капитал „Грузгосмедторга“ делится на а) основной и б) оборотный.

Под основным капиталом понимается оборудование магазинов, складов, аптек и, вообще, имущество, не предназначенное для продажи.

Под оборотным капиталом понимаются—деньги, ценные бумаги, а равно имущество, составляющее предмет торговли „Грузгосмедторга“.

15. При обращении взыскания на имущество „Грузгосмедторга“ соблюдаются следующия правила:

а) на имущество, относящееся согласно ст. 15-й к оборотному капиталу, взыскания обращаются таким же порядком, как на имущество частных лиц,

б) На имущество, относящееся к основному капиталу, как переданному „Грузгосмедторгу“ при его учреждении, так и приобретенному им впоследствии, взыскание может быть обращено лишь с соблюдением ст. 22 и примечания к ней гражд. Кодекса ССРГ.

*Примечание.* Отчуждение негодных или устаревших частей имущества, указанного в п. б настоящей статьи, регулируется особыми правилами, издаваемыми Наркомздравом Грузии.

განყოფილების ყველა მოვალეობა მის ლიკვიდაციამდე.

14. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელი კაპიტალი გაიყოფა:

ა) ძირითადი და

ბ) საბრუნავ კაპიტალად.

ძირითად კაპიტალად ჩაითვლება მალაზიებისა, საწყობებისა და აფთიაქების მოწყობილობა და, საერთოდ, არა გასაყიდი ქონება.

საბრუნავ კაპიტალად ჩაითვლება ფული, ფასიანი ქაღალდები და აგრეთვე ქონება, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ სავაჭრო საგანს.

15. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ქონებაზე რაიმე გადასახდელის მიქცევისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) იმ ქონებაზე, რომელიც მე-14 მუხლის თანახმად, საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს იმავე წესით, როგორც კერძო პირის ქონებაზე;

ბ) იმ ქონებაზე, რაც ძირითად კაპიტალს ეკუთვნის, იქნება იგი საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსათვის გადაცემული (მის დაარსების დროს), თუ შემდგომ შეძენილი, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ იმ წესით, რაც აღნიშნულია საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლში და მის შენიშვნაში.

**შენიშვნა.** ამა მუხ. „ბ“ პუნქ. აღნიშნული ქონების უვარგისი ან მოძველებული ნაწილის გასხვისება მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

### IV. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსათვის“ ფინანსიურად ხელის შეწყობა.

16. სახელმწიფოს მიერ საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსათვის ფინანსიურად ხელის შეწყობა სწარმოებს საერთო წესისამებრ, იმავე სახით, როგორც სახელმწიფო ტრესტებისათვის ფულადი სახსარის მიცემა— ფულადი სახსარის სხვა რამ ღირებულებით შეცვლა შეიძლება საქ. სამკ. სა-

### IV. Финансирование „Грузгосмедторга“.

16. Финансирование „Грузгосмедторга“ государством совершается, как правило, в порядке представления государственным трестам денежных средств. Замена денежных средств иными ценностями может совершаться лишь по соглашению с „Грузгосмедторгом“ с обязательным проведением ценностей в качестве денежных средств.

17. Долгосрочные ссуды „Грузгосмедторгу“ предоставляются правительством по представлению, через В. Э. С. Грузии, Наркомздрава Грузии и передаются „Грузгосмедторгу“ на условиях, оговоренных в специальных на сей предмет заключаемых договорах и возвращаются непосредственно в государственную казну.

Долгосрочные ссуды от других кредитных учреждений могут быть допускаемы с разрешения Наркомздрава и проводятся в балансе в особой статье.

18. „Грузгосмедторг“ может получить краткосрочные ссуды как от государственных, так и от не государственных кредитных учреждений на общем для частных лиц основании. с обязательным проведением по своему балансу соответствующих статей по каждому виду кредита отдельно.

### V. Права и обязанности Наркомздрава и Управления „Грузгосмедторга“.

#### А. Наркомздрав Грузии.

19. Ведению Наркоздрава Грузии подлежит:

а) Разрешение на приобретение и отдачу в аренду, с соблюдением соответствующих законов, частей основного капитала, а также отчуждения и залог тех частей основного капитала, кои не запрещены к отчуждению и закладу по гражданским законам, а равно на расширение предприятий с определением порядка погашения затрат, связанных с приобретением строений и расширением предприятий.

*Примечание.* Наркомздрав Грузии может в отдельных случаях в порядке издания соответствующей инструкции передавать те

გნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსთან შეთანხმებით იმ პირობით კი, რომ ეს ღირებულება აუცილებლად გატარებულ იქნეს როგორც ფულადი სახსარი.

17. გრძელ-ვადიანი სესხი მიეცემა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის წარდგენით, რაც გატარებულ უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიურ საბჭოში. ეს სესხი გადაეცემა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს პირობით, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს ამ საგანზე სპეციალურად დადებულ ხელშეკრულებაში და დაებრუნება უშუალოდ სახელმწიფო ხაზინას. გრძელვადიანი სესხის აღება სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან შეიძლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის ნებართვით და ეს სესხი აღინიშნება ბალანსში ცალკე მუხლად.

18. საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს შეუძლიან აიღოს მოკლე ვადიანი სესხი როგორც სახელმწიფო, ისე არა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებისაგან იმ საფუძველზე, რაც კერძო პირისათვის არსებობს, ხოლო ყოველი სესხი აღინიშნება ბალანსში ცალ-ცალკე სათანადო მუხლად.

**V. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს უფლება-მოვალეობანი.**

**ა) საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.**

19. საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ნებართვის მიცემა, სათანადო კანონების დაცვით, ძირითადი კაპიტალის ნაწილთა შეძენისა და იჯარით გაცემისათვის; აგრეთვე ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილების გასხვისებისა და დაგირავებისათვის, რის გასხვისება და დაგირავება სამოქალაქო კანონებით აკრძალული არ არის, და აგრეთვე ნებართვის მიცემა საწარმოს გაფართოებისათვის და განსაზღვრა იმისა, თუ რა წესით უნდა იქნეს დაფარული ნაგებობათა შეძენით ან საწარმოს გაფართოებით გამოწვეული ხარჯი.

**შენიშვნა.** კერძო შემთხვევაში საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარს შეუძლიან გადასცეს ესა თუ ის თავისი უფლება или другие принадлежащие ему права Управлению „Грузгосмедторга“.

б) Назначение и смещение управляющего и его заместителя, ревизионной и ликвидационной комиссий.

в) Утверждение представления Управления о назначении и смещении главного бухгалтера.

г) Утверждение и изменение инструкции Управлению и главному бухгалтеру в пределах действующих законов и настоящего положения.

д) Рассмотрение и утверждение смет, а также плана действий на наступающий операционный год, утверждение отчета и баланса за истекший год.

е) Разрешение вопросов об изменении положения и размеров начального капитала и ликвидации „Грузгосмедторга“ с представлением постановления по этому вопросу Совнаркому Грузии.

ж) Разрешение Управлению вступить в синдикаты и иные торговые об'единения.

з) Разрешение Управлению получать ссуды, согласно ст. 17 сего положения.

20. Во главе „Грузгосмедторга“ стоит Управляющий и его заместитель сроком на один год, назначаемые и увольняемые Наркомздравом Грузии.

Управляющий „Грузгосмедторгом“ действует под руководством Наркомздрава Грузии согласно утвержденной Наркомздравом инструкции.

Размер вознаграждения Управляющего и его Заместителя назначается Наркомздравом Грузии по соглашению с союзом Грузмедсантруд.

